№ 10
შაბათი, 14 იანვარი 1895

1877--1895

ივერია

№ 10
შაბათი, 14 იანვარი 1895

რედაქცია:
ნიკოლოფოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებელად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

19

ბაზეთი ლირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ამშაბათს, 17 იანვარს

გოლოფინის პროსპექტი, სასლი მირიმანოვისა

გამოფენა

ჩვენის დროისათვის ორისუდიდესის საკვირველებისა

1) ქონდრის კაცები

უველაზედ უშატარესნი ცოდ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ
მარკიზ ვოლგე, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუმი, სიმძიმით $9^1/_2$ კილ.
მარკიზა ლუიზა, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუმი, სიმძიმით $10^1/_2$ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივად შეზორცებულნი ინდოეთელნი

ტუუნი-დანი
რადიკა და დოდიკა



ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა

გამოფენა დაიწყება კვირას, 1 იანვრიდგან და ღია იქნება ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის.

ადგილების ფასი: სკამები 40 კაპ., ფეხზედ დგომით 20 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარ ფასს.

(20—ნ.—7)

ქართული თეატრი

კვირას 15 იანვარს 1895 წ.
„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობის“ დასის მიერ-
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ მ. საფაროვისა და ბ. ავალიშვილის
მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა

მუშაკი და ნეგიერი

დრამა 4 მოქ. 5 სურ. თარგ. პ. ყიფიანისა

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „რევიზორი“, კომედ. გოგოლისა და „გვიყარნეთ“ კომ. 3 მოქ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი
ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

ტფილისის სახელმწიფო თეატრი

რუსული საოპერო დასი
სამშაბათს 17 იანვარს
განსაზღვრულ ქართულის დედათა სასწავლებლის ფონდის გასამღერებლად
წარმოდგენილი იქნება

„სამსონ და დალილა“

ოპერა 3 მოქმედებად და 4 სურათად მუსიკა სენ-სანსისა.

მონაწილეობას ღებულნ: ქ-ნი კუტუზოვისა, ზენიონი, ბ-ნნი სეკარროვსკი, მაქსაკოვი, ფიუერერი, იზმაილოვი, გეცევიჩი, გელროტი, ბელსკი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 სათზედ.

ბილეთები ისყიდება „ნოვ. ობოზრენიეს“ კანტორაში დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 5-დგან 8 საათამდის. წარმოდგენის დღეს-კი თეატრის კასაში. (3—უ—1)

ფელეტონი

გლეხის სიზმარი

(საამდღესასწაულო ფანტაზია)

დიმღის ტრიალს მინდორზედ ერგიგალი გამძვინვარებით დაჰქროლა, და თოვლის კორიანტელს აყენებდა. ნამქერს ქვეყანა დაებნელებინა, გაბრაზებული ქარიშხალი საშინელის ძალით ჰხვეტავდა თოვლს და ჰაერში ატრიალებდა, ქვეყანა დაჰმონებოდა ზამთრის სიმკაცრეს და თოვლბუქში გახვეული მწარედ ჰკვნესოდა. თოვლით არა სჩანდა-რა, მხოლოდ მცხეთის გარშემო, მაღლს მთებზედ, მამა პაპათა ხელით ნაგებ ციხეთა ნანგრევები დაღვრემილი გამოიკქარებოდა ჯ სისხლით მორწყულს საშობლის მიდამოს ნაღვლიანად დაჰყურებდა. გეგონებოდათ, ღრმა ფიქრში წასულ და ამ ქვეყნის არა გაეგება-რაო. ეს ნახგრეიდი ნატამალი უკან მისტროდა წარსულს დროს, წარსულს ვეკაკობას. ქარი ზეულ-შეულით უვლიდა თავს და მისგან მოგნაზიდი თოვლი ტყრშაილით ეხეთქებოდა წმინდა ნანგრევთ დაჩაჩანაკებულს კედლებს. მთებით შემოფარგლული მცხეთა ღრმა ძილს მისცემოდა, სწორედ ღვთის რისხვა დღე იყო, მაგრამ ეა გამოდარებას არ აპირებდა, გამძვინვ რებული ქარი თავგანწირულად უბერავდა და მთელი დიღმის მინდორი გაჰქონდ-გამოჰქონდა. გვერდ ჩამონგრეული ღართის-ეარის ციხე-ღა გაჰკაკუნებდა ქარის საშინელს იერიშს და ეამთა-ვითარებისაგან დახავსებული ზურგი მედგრად მიეშვირა ქარისათვის.

აი ამ ღვთის რისხვა დღეს ბეჩავი გოგია მშვენაძე ქალაქში წამოსულიყო საქმისათვის. გზად ნამქერმა მოასწრო და იღუბებოდა. მარტო „ღართისკრის“ ციხე გამოუჩნდა მხსნელად და ისიც იმის ნანგრევებს შეეფარა. სიცივე და კორიანტელი გაორკეცდა. ქვეყანა ჩამობნელდა. შეშინებული გოგია მაგრად ეკვროდა კოშკის კედლებს და მყუდრ ობაში იჯუჯგებოდა. „ღმერთო, მიშველე! ღმერთო, მიშველე!“ დუდუნებდა საბრალო გოგია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრად ეხვეოდა მოკლესა და გძელ-ბალნიანს ნაბადში. ქარი-კი კვლავ ზუზუნებდა და შეუბრალებლად უბერავდა აქეთ-იქეთგან. «ღმერთო! სვეტის ცხოველო! შენ გადამარჩინე ამ განსაცდელს!“ წამოძახა თვალ-ცრემლიანმა გოგიამ და ციხის გამონგრეულის ძირში მოიკალათა.

სიცივისაგან გათოშილი ტანი მოუდუნდა, თავმა ქინდრა დაუწყო და ქარის ზუილი ნაღად შემოესმა. პატარახანს უკან კიდეც მიეძინა. ხვრინავს გოგია, და ამის ხვრინვას ბანს აძლევს ბუნების კვნესა-ქვითინი, სთბილა გოგიას, ხოლო გაყინილს მინდორს ბაპანი გაუდის. მაგრამ გოგიას არა ესმის-რა, იგი ღრმი ძილშია წასული. ადარ ეკვდრება ღმერთს, მხოლოდ მშვენიერის სიზმარითა სტკბება. ძილში ჰხედავს, რომ თბილი გაზაფხულის დღეა. მზე კაშკაშებს და ხალხი-კი რაღაც აღტაცებაშია, რაღაც უხარიანთ და რაღასაც შესტრფიან... ყვავილ-მწვანით აბიბინებულ დიღმის მინდორზედ ხალხი ჭიანჭველასავით ირევა. მორთულანმოკაზმულან... სადღაც მიდიან... მაგრამ... სად?

— ეე, დიდება შენდა, ღმერთო, სად მიდის ამთენი ხალხი? ჰფიქრობს გოგია და გაოცებული შესცქერის მოკისკასე ბრბოს.

— გამარჯობა გოგია! გამოეხმაურა ერთი კაცი: აქ რას აკეთებ?

— აბა რა ვიცი, შენი ჭირიმე, ქალაქში მივდიოდი და ამ ხალხში-კი გავები.

— წამოდი ჩემთან,— უთხრა უცნობმა და გოგია თან გაიყოლა. მიდის გოგია, მიჩანჩალებს. მირბის ხალხი, მითოხარიკებს.

— სად მივალთ, ძმობილო? ეკითხება გოგია თანამგზავრსა და ოფლი წურწურით ჩამოსდის.

— წამოდი, წამოდიო!.. ესმის ხმა და ისიც თან მისდევს.

იარა, იარა და ერთის მთის წვერზედ-კი მოექცა. მოიხედა უკან, აღარავინ არის. ბნელა. მზე არა სჩანს, ქვეყანა უკუნეთს ჩაუნთქავს. საიდუმლოებით მოცულია არე-მარე. შეშინდა გოგია. ლამის ტირილი დაიწყოს. «ღმერთო! სვეტი ცხოველო! შენ მიშველე!» ლოცულობს გოგია. წმუნოება და ზნეობა შეჰბღალეს, შეჭლახეს და თავისი ვნებანი,გულის თქმანი კანონად დაუდვეს საღწმუნოებასა და ზნეობას!

ძალოვანმა წმ. ნინომ, ქართველთა განმანათლებელმა, შესწირა თავი თვისი სახარებისა მცნებათა; ეს ქვეყნური ამაო ცხოვრება ჩალად არ იცნო და იმიტომაც ჰყო თავი თვისი მეოხად იმ ერისა, რომელიც მან აღმოიყვანა ჯურღმულისაგან სინანულითისა და აღმოშობა წმ. ემბაზით! მისცა ქართველთა ჯვარი თვისი ვაზისა, თვისის თმით შეკრული, ნიშნად საღწმუნოებისა და ზნეობისა! თუ ჩიქილა პატივცემული იყო და არის დღესაც, თმანი უფრორე ძვირფასია! დღეს ეს თმა ვარსკვლავის მსგავლად გდმოჰკრთის სასოებით აღსავსე თაყვანის-მცემელისათვის. მაშ, არ იქნება ცოდვა, თუ ვიტყვი გულ წრფელად, რომ ეს დიდი სიმდიდრე, ეს ფას დაუდებელი განძი—საღწმუნოება და ზნეობა იყო სამკაული, დიდება და ძლიერება ქართველთა, რომელთაც ამდენი საუკუნე კისერზედ გადიგდეს და აქომამდე მოაღწიეს. თუ ეს ორი სიმდიდრე ხელ-შეუხებელი სიწმიდეთ დაშთება ქართველთა შორის,ეჰვი არ არის, რომ ღვთისმშობელი ბევრის განსაცდელისაგან იხსნის და არ აღხოცს ის ხალხისა და ენის ხსენებას პირისაგან ქვეყანისა, რომლის განათლება ჰხვდა იმის წილად უუზენაესისა განგებულებით და რომელიც გამოეცხადა ექვთიმე მთარგმნელს საღმობიერად მდებარეს დ უბრძანა «აღსდეგ და წარსთქვი ლოცვაო.»! იწყო ბერძნულად, „არა, ქართულადაო!“ იწყო ვედრება ქართულად და შეუდგა კიდეც თარგმანსა. (იხილე მიმოს. ტომ. გვ. 49).

თუ მომაკვდავთ მოღვაწეთა წინაშე მთელი ერი მუხლს იყრის, დღეს თითოეული ქართველი მხურვალეს გულით და ლმობიერის სულით უნდა ადიდებდეს ღმერთს და თვისს განმანათლებელს ნინოს, რომელიც მზად არის ვედრებად თვისის ერისა, საყვარელის ივერიისა, სადაც დასტოვა თავისი ნაწილნი.

საქართველო ადიდა ღმერთმან,რომ არგუნა იგი ღვთის-მშობელს და დედისა მიერ ნინოსი განათლდა ივერია, რომელიც დედაკაცმაე თამარმა აღაყვავა და დედაკაცმა დასცა.... მაშასადამე, დედათა მიერვე უნდა დამყარდეს დღესაც სარწმუნოებაცა და ზნეობაც. მაშ ვითხოვოთ რომ ეს ა ღმრ-თო მადლი ისევე იმათ მოეფინოთ, მოეფინოთ მშვიდობა და ურთიერთობაც, რომ ამ სოფლის მიმამდევრობითა და წახდეულობით არ დაგვიღუპონ ის, რაც ჩვენი დიდება იყო—ცხოველი სარწმუნოება და ზნეობა, რომ პირ-ნათლად უმზერდნენ და თვალს უსწორებდნენ ჯერ ჯვარსა და მერმე იმ დედათა, მოწამეთა და ღირსთა, რომელნიც გვირგვინთა.შემკულნი გადნმზერენ ქართველთა დედა-ეკკლესიაში და ჯვარის სამყოფ ეკკლესიისა კედელთა თაღებიდგან: წმ. ნინო, წმ. ქეთევან, ლუარსაბ, არჩილ, წმ. ასურელნი და სხვანი.

ვინმე

დამაკვირდი

ყველაზედ უკეთესი სარწმუნოება რომელია? უბიწოება და სიმართლე.

ინდოთა თქმულება.

**

სარწმუნოების სამყოფელი გულია და არა თავი.

ვიელანდი

**

ცოდნა ადამიანს სიმდიდრესა სძენს, სარწმუნოება—ნეტარებას. ესდანდელი

— უცბად ცა გაიხსნა. მზემ გამოანათა და ქვეყნად წყვდიდი გაჰფანტა. გოგიამ ახლა-კი ყველაფერი გაარჩია. იგი მაღალ მთის წვერზედ მოჰქცეოდა. მთის კვარცხლბეკის გვერდზედ გაშენებული იყო მცხეთა—იმისი სოფელი, შორს კი ქალაქი მოსჩანდა. ბიჭოს, აქ რა მინდა, ჰფიქრობს გოგია. აკი ქალაქში მივდიოდი. აი დიდება შენთვის, ღმერთო!

— აქ რა გინდა? მოესმა ვიღაცა ხმა, მაგრამ ჯერ ეს მითხარი: ქრისტიანი ხარ თუ არა.

— ქრიჰტიანი ვარ, მა რა? იწყინა გოგიამ და დასამტკიცებლად პირ-ჯვარი გადაიწერა.

— ჰო, მაშ კარგი, უპასუხა ხმამ და წინ წარმოუდგა. ეს იყო წარმოსადეგი ჰაბუკი, თეთრის ტანისამოსით. სასტიკი, ელვარე თვალები ჰქონდა და სახეზედ შარავანდედი გადაჰფენოდა. გოგიას შეეშინდა, თრთოლა დაიწყო და მუხლებზედ დაეცა.

— ნუ გეშინიან, ქართველო! დაესახა ჰაბუკმა. ფეხზე დადექ, მე შენთან სამტროდ არ მოვსულვარ, მხოლოდ მინდა მოგაგონო შენი წარ-

ადამი უფრო მდიდრად ყოფნის ვრეს მოწყალენუნული, ვიდრე ნეტარად ყოფნის.

ლოვენსტეინი

ახალი ამბავი

—

*** დღეს, 14 იანვარს, საქართველოს განმანათლებელის წმ. მოწ. ნინოს დღესასწაულის დღეს, სიონის სალოცავლრო, ქალაქში გარდახდილ იქმნება არქიელის წირვა. ლოცვა დილის 9 საათზედ დაიწყება.

*** 12 იანვარს, როგორც გამოცხადებული გვქონდა, აკურთხეს კუბის სასაფლაოს წმ. ნინოს სახელობაზედ აშენებული ეკკლესია. მწირველი იყო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი, რომელიც წირვის გათავების შემდეგ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. კურთხევას ესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი შერემეტევი, მთავარ-მართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშევი, ტფილისის გუბერნატორი თავადი შერვაშიძე და სხვ. წარჩინებულნი. ეკკლესიის კურთხევის შემდეგ დამსწრე წარჩინებულნი გრაფ ტატიშევის მიერ, რომლის მზრუნველობაც იქმნა აგებული ეს ტაძარი, მაწვეულ იქმნენ საუზმეზედ.

*** გუშინ, 12 იანვარს, ქალაქის გამგეობაში საბჭოს მიერ ამორჩეულ ფინანსთა კომისიას სხდომა ჰქონდა ამ წლის ხარჯ-აღრიცხვის გადასათვალიერებლად. კომისიამ, სხვათა შორის დაადგინა:

საჯარო წიგნთ-საცავს, რომელიც ქალაქი ყოველ წელს 1030 მან. ალუვდა ხოლმე, ამ ფულის მოცემა მოუსპოს, რადგანაც ეს წიგნთ-საცავი, არ ასრულებს თავისსანიშნულებას, და ქალაქის გამგეობამ გამართოს ქალაქის საჯარო უფასო წიგნთ-საცავი, რომელზედაც ამ ფულს მოახარებს დიდის სარგებლობით.

შემდეგ კომისიამ დაამტკიცა ის ძველი ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელშიაც დანიშნულია ხარჯი 15 დესეტინაზედ ხეების დარგვისათვის ტყის გასაშენებლად.

ამის გარდა ფინანსთა კომისიამ დაადგინა ამ წლიდგან ქალაქმა აღარ დახარჯოს ფული თავისის ძველ შენობების შესაკეთებლად, რომელზედაც ქალაქი აქამდე დიდს ფულსა ჰხარჯავდა, მაგალითად, იმ სახლების შეკეთებისათვის, რომელშიაც იმყოფება ცეცხლის მქრობელი რაზმი და პოლიციის არხივი. ამასთანავე კომისია შუამდგომლობს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ მან ქალაქის ინჟენერის დახმარებით შედგინოს პროექტი ახალის დიდის შენობის ასაგებად. ეს შენობა უნდა იყოს შუაგულ ქალაქში და იქ იმყოფებოდეს პოლიციმეისტრის კანცელარია და სადგომი სახლი, ქალაქის სამკურნალო, ქალაქის ლომბარდი, გამსესხებელი კასსა, პოლიციის არხივი, ცეცხლის მქრობელის რაზმის სადგომი და სხვა ქალაქის დაწესებულებანი.

*** გზ. „ნოვ. ობზრ.“ მოჰყავს ის ხმა, რომელიც ჩვენ რამდენიმე თვის წინად გვქონდა გამოცხადებული, რომ კავკასიის ადგილობრივ მსროლელ ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი თავადი ბარიატინსკი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ ინიშნებაო. გენერ.-ლეიტ. თავ. ერისთავის მაგიერ, რომელმაც ამას წინად თავი დაანება სამსახურს.

*** ს. ჩხოორა-წყუ. (სამეგრელო): წარსულ თვის დეკემბრის შუა რიცხვებში სოფ. ჩხოორა-წყაში ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა. ახალგაზდა და სიცოცხლით სავსე ყმაწვილი კაცი გაცოფიანდა. საწყალი ამას წინად თურმე ძაღლს დაეკბინა, მაგრამ ყმაწვილს ყურადღება არ მიუქცევია. შემდეგ-კი ყველამ შეიტყო, მაგრამ გვიან-ღა იყო, რადგანაც საბრალო ყმაწვილი ძაღლივით ჰყეფდა. საწყალ სამწუხარო და გულ-საკლავს სურათს წარმოადგენდა მისი სიკვდილი და ისიც დიდის ტანჯვა-წვალებით...

*** განჯიდგან სწერენ გზ. „ნოვ. ობზრ.“, რომ ამ გუბერნიის რამდენსამე ადგილს კალიის კვერცხები აღმოუჩენიათ, რის გამოც გუბერნიის ადმინისტრაციამ ჯერ-ოვანს ღონისძიებასა ხმარობსო.

*** 16 იანვარს კრება ექმნებათ მთელის კავკასიის გუბერნატორებს, რათა ერთად მოილაპარაკონ საზოგადოდ ქვეყნისა და კერძოდ მათ-და რწმენებულ გუბერნიების საკიროებათა შესახებ. („ნოვოე ობზრ.“)

*** მოგვაკვს სიახ მეორე კლასიკურ გამცხადებას ამ ქარიგად მოსწავლეებისა, რომელებმაც სხვენკრა მიიღეს კარგის სწავლისა და ყოფაქცევისათვის. პირველი ხარისხის სხვენკრები მიიღეს უმცროს მოსამზადებელ კლასიდგან უფროს მოსამზადებელ კლასში და კლასებულ: ანდრო ტატიშვილმა; პირველ კლასში გადასულმა ირაკლი ნასაბაშვილმა; მესამე კლასში გადასულმა: გიორგი ბეგრწოელმა და მისელ ასათანმ. სხვენკრები შესდგებოდა ქბის ფურცლებისა და წიგნებისაგან.

მეორე ხარისხის სხვენკრები, ე. ი. ქბის ფურცლები, მიიღეს უმცროს მოსამზადებელ კლასიდგან უმფროს მოსამზადებელ კლასში და კლასებულ: დავთო ჯაკანიშვილმა; პირველ კლასში გადასულ: ილია ყეფაშიეკ და გიორგი წერეთელმა; მეორე კლასში გადასულმა კონსტანტინ ჩერქეზიშვილმა; მესამე კლასში გადასულ: მიხეილ ჯაკანიშვილმა და დავთო ოქუაშვილმა; მეოთხე კლასში გადასულ: დავთ კიდოსანიმ და ივანე ფარადაშვილმა; მეექვსე კლასში გადასულმა ალექსანდრე თუმანიშვილმა და მერვე კლასში გადასულმა ალექსანდრ ჯაკანიშვილმა.

ნაწყვეტი

—

სატრფო ვიხილე საშინლად
გული უწუხდა, ბნდებოდა,
როგორც შეშლილი, მალ-მალე
სახე მოემზეზვნით ჰკრთებოდა;
„მომკლესო“! ამას იძახდა,
რადაცა ელანდებოდა,
მე-კი გულ-გრილად ვუცქერდი,
ქვეყანა საკვირველობდა.

დ. ნინოწმინდელი

ეკონომიური

ახალ. სენაკი, 10 იანვარი. ერთად-ერთი ჩვენის დაბის ზარდისა და წარმატების შამაფერხებელი გარემოება ეკკლესიის უქონლობაა, რომელიც დიდი დასაკლისია ჩვენთვის. აქაური ეკკლესია ისეთი პატარაა, ორმოცი კაცი ძლივს თავსდება. ეს ეკკლესია იმ დროს აშენებული, როდესაც ახალ-სენაკში პირველად დაიწყეს დუქნების და სახლების აშენება. მას აქეთ-კი დაბა დღითი-დღე თანდათან იზრდება და წარმატებაში შედის და, რა თქმა უნდა, მეცხოვრეთა და მოვაჭრეთა რიცხვიც მრავლდება. ამას დავუმატოთ სამი სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოსწავლეთა რიცხვი, რომელიც 700 აღემატება. აშკარაა, რომ ამდენ სულს ხსენებული პატარა ეკკლესია არა ჰყოფნის. ამ აუცილებელს და უსაპირო

20

რომ მალე კაპიტალიზმი და რეგლეიციე დიემხობა. ძმებო, იყავით ერთსულნი და ერთხორცნი და მომხადდით! წმი ხსნისა იქმნება მოახლოებული არის კიდეც!“

რუსეთის ცხოვრება

—

წოდებითი დაწესებულებანი უნდა შეცვლილ იქმნენ ამ მოკლე ხანში. ეს საქმე ამ ჟამად საშინაო სამინისტროს ერთ დეპარტამენტშია განსახილველად, მაგრამ ამ დეპარტამენტს ამოდენა აუარებელი საქმეები აქვსო, ამბობს „მოსკ. ვედ.“. რომ ჯერ-ჯერობით საქმის გარდაწყვეტა დაბრკოლებულიაო.

—

გაზეთების სიტყვით, ამ წელს ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია ჯარისთვის პური პირდაპირ, სხვათა უშუამავლოდ, იყიდოს მამულის პატრონებისაგან, 5,000 ფუთამდის თითოეულ მემამულისაგან.

—

გაზეთები დაწვრილებით გვატყობინებენ ამბავს უცხოეთის საეკლესიო კანონების გადამსინჯველ კომისიის დაარსების შესახებ. კომისია, ბეჭედის საქმესთან ახლო მდგომ კაცთა გარდა, შესდგება ს

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ბურეუმამ საბოლოოდ გაწყვიტა უარი, სამინისტროს შედგენას ვერ ვიკისრებო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავსახურდანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობითი:

ბ. ს. ნავსახურდანი, 11—12 საათამდეთ, ვისაც სპირს სნეულებანი: სახირურგიანი, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდგოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი ქალი ს. მ. ტურბოვიჩი. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. ბრანტსეფიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვისა.

სადამოობითი:

ს. გ. ბურგო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ს. ნავსახურდანი, 7—7½ საათამდეს.

ს. ბ ბურგო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისთვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავსახურდანი.

(857—1468)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ 25 იანვარს 1895 წლისას ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, არწრუნისეულს სახლში, დანიშნულია მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა, ვაჭრობის გადაუდებლად, შემდეგის მამულებისა, რომლებიც გაუსყიდველნი დარჩნენ, 1895 წლის 9 და 11 იანვარს მომხდარ ვაჭრობის დროს.

ქალაქის მამულები.

კუზნინოვი ალექსანდრე მიხეილის ძე: ოთხ-სართულიანი შენობა და სახლი სარდაფით. მიწის ზომა 323 ოთხკუთხი საჟ. 5 განყოფილებაში, ქ. ტფილისში, მიხეილისა და პოლიციის ქუჩაზედ. ნაღდი ვალი 58,754 მ. 39 კ. შემოსატანი გარდასახადი 2316 მ. სულ 61,070 მან. 39 კ.

კლიუჩარევები: ალექსანდრე და ვლადიმერ სტეფანეს ძენი: სამი სამსართულიანი სარდაფებით სახლი და ერთ-სართულიანი ფლიგელი, მიწის ზომა 300 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. ბათუმში. ნაღდი ვალი 18,605 მან. 52 კაპ., შემოსატანი გარ დასახადი 973 მან. 77 კაპ. და სულ 19,579 მან. 29 კაპ.

ავალიანი ლუკა სვიმონის ძე. ორსართულიანი სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 180 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზედ, ნაღდი ვალი 8,861 მან. 60 კაპ., შემოს. გარდას. 406 მან. 82 კ. და სულ 9,268 მ. 42 კ.

სოფლის მამული

მადალამბეგლისა მარიამ დიმიტრის ასულისა: სახნავი, მინდვრები და სანაღო ადგილები, მიწა ზომით 780 დესეტ. 110 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, ბორჩალოს მაზრაში, სოფ. ახტალაში. ნაღდი ვალი 10,031 მან. 1 კაპ., შემოსატ. გარდასახადი 424 მან 20 კაპ. სულ 10,455 მან. 31 კაპეიკი.

(1—5—1.)

1895 წ.

დაიბეჭდა და დაუყრიდა ხელის-მოწერლებს

ᲛᲝᲚᲐᲜᲔ

ისტორიის წიგნი

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

I „ხის ბეჭი“, პოემა ვაჟა-ფშაველასი; II „რაშია ბედნიერება?“, ზღაპარი დიკენსისა, თარგმ. კონ. ნიკოლაძისა; III „პატარა რომანი“, მოთხრობა მატილდა სერაოსი, თარგმანი; IV „აივენგო“, რომანი ვალტერ სკოტისა, თარგ. (გაგრძელება); V „ცეცხლითა და მახვილითა“, რომანი ჰენრიხ სენკევიჩისა, თარგ. გრ. ყ—ძისა (გაგრძელება); VI „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო და საესტეტიკო მნიშვნელობა“—III.— მ. კელ—ძისა; VII „ევოლიუციანა სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში მე-XIX საუკუნეში“—III, IV.—კიტა აბაშიძისა; VIII „რძე და მისი სხვა-და-სხვა გარეგან გამოცანგა“—I.—რძე, მისი თვისება, შედგენილება, ფარმომავლობა და გარემოებანი, რომელთაც იმის თვისებასა და შედგენილებაზედ რაიმე გავლენა აქვთ.—პროფესორის ვ. პეტრიაშევილისა; IX „ბიბლიოგრაფია“—M. Плохинскій—Поселеніе грузинъ въ Малороссіи въ XVIII в.—Е. Такайшвили—Сигель грузинскаго царя Баграта IV (1827—1072).—წმ. დიდი მოწამე, კახეთის დედოფალი ქეთევანი.—К. Н. Бѣгичевъ—Разведеніе чайнаго куста на Кавказѣ; X „შინაური მიმოხილვა.—ქართული მწერლობა.“—მწერლობის საჭირო მასალა.—ქართველს კაცს ხელმძღვანელი აკლია.—ჩვენის მწერლობის ამაგი.—საზოგადოებამ მწერლობას გაასწოროს ზრდაში.—ორი ტიპი გაზეთებისა.—ჩვენ პარტიული გაზეთები გვეგმირვება ეხლა.—მათი ავი და კარგი.—აზნაურ ბრძოლა-კი არა, მელური ჰრყენის მწერლობას.—მობრძანდით, იბრძოლეთ!—ნ. ნიკოლაძისა: XI „ჩემი დღიური.—საახალწლო“ კარგი ჩვეულება.—ნუ წაებაძავთ.—როგორ მოვიდა წარსული წელიწადი.—ბ-ნი გუნია და მისი კალენდარი.—ჩვენი „მოღვაწენი“.—რით არიან თურმე ისინი შესანიშნავი. — წინასწარმეტყველებანი ახალის წლის გამო.—ახალი ქარი და მისგან აღძრული იმედი მისამკვლევი.—ი. ნონელისა XII „უცხოეთის მიმოხილვა.—წარსული წელიწადი.—ნ. ნიკოლაძისი. XIII განცხადებანი.

წლიური ფასი ჟურნალისა გაგზავნით 10 მანეთი.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილ: პირველში 4 მან., 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე 3 მან.

წარსულის 1894 წლის „მოამბე“ ჰღირს 10 მანეთი გაგზავნით.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძისა მიერ

გამოცემა მ. შარაძისა ᲥᲐᲛᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქეროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘᲡ. კ. თავართქილაძესთან.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ. Ი. ᲒᲔᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲨᲘ. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ. Ი. ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ.

ეს თხაა-თქო.“ ახლა ჩვენე მოქმედება და მდგომარეობა და დაასახელეს ცნებანიც: „ძროხა ჰბღავის; თხა ბეტლოობს (კიკინებს); წოგნი სძღვს“; უჩვენე ფეიზენები ამ საგნებისა და დაასახელ ეს თვისებანიც და სხვა. აქ დაწერილებით ახსნა, თუ როგორ უნდა შეათვისებინოს მასწავლებელმა ყმაწვილს რუსულის ენის ხმებისა, სიტყვების და ფრაზების გამოთქმა, რომ ეს გამოთქმა ნამდვილი რუსული გამოთქმა იყოს და არ დაირღვეს ის თვისება ენისა, რომელსაც ბ-ნმა დირექტორმა „ენის გრძნობა“ დაარქვა და რომელიც მაყურებლებისათვის, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი დარჩა.

შემდეგ ბ-ნი ლ. შეუდგა ზემოხსენებულის მეთოდით მიცემულის გაკვეთილების ღირსებათა დაფასებას. ყველა მიცემული გაკვეთილები ძალიან მოიწონა. სთქვა, რომ მასწავლებელს კარგად შეუგნიათ ამ მეთოდის მოთხოვნილებანი. ისინი სცდილობდნენ დაკვირვებითა და სიცოცხლით გეტარებინათ გაკვეთილები და კიდეც მიადწიეს განზრახულ დანიშნულებასაო. ყმაწვილები დაინტერესებულნი იყვნენ გაკვეთილების შინაარსით, ბეჯითად უგდებდნენ ყურსა და სასურველი შედეგიც მოჰყვა ამ მიდგომილობასაო. ყმაწვილებმა ბევრი [illegible]ფყვა და ფრაზი შეიგნეს დაშეისწავლეს ენა ს ხ.

ოვენის აზრით-კი შედეგი ამ გაკვეთილ[illegible]ისა ერთობ მცირე და სამწუხარო[illegible] იყო, თუმცა მასწავლებლები არც ნიჭს არიან მოკლებულნი, არც მეცნიერებაა დაკლეს სწავლებას და არც სიცოცხლე აკლდა იმათს შრომას. ერთის სიტყვით, რაც-კი ამ მეთოდის საშუალებით ხერხი და ძალა შეიძლებოდა ეხმარა მასწავლებელს, არაფერი დაუკლიათ, მაგრამ შედეგი გაკვეთილებისა, როგორც ზემოდ ვსთქვეთ, მაინც ლაკაი იყო.

ავილოთ მაგალითად, ქ-ნ თ. რუსული ენის გაკვეთილი, კათოლიკეების სასწავლებლის პირველ-დაწყებითის განყოფილებაში მიცემული. ეს გაკვეთილი სიცხოველითა და ენერგიით სჯობდა დანარჩენს ორს გაკვეთილს ამავე ენისახ, რომელთაგან ერთი მიცემულ იყო ბ. ბ. მიერ საქალაქო პირველ-დაწყებითის სასწავლებელში, ხოლო მეორე ადგილობრივ ქალების უფასო სასწავლებელში ქ-ნ მ. მიერ,—მაგრამ შედეგი სამივე გაკვეთილს ერთი და იგივე ჰქონდათ. ქ-ნი თ. სცდილობდა დაესწავლებინა ბავშვებისთვის ქართული ენის დაუხმარებლად სამი რუსული სიტყვა: „хожу“, „скоро“ და „медленно“. უნდა გეყურებინათ, რამდენი შრომა, წვალება და ვაი-ვაგლახი გამოიარა საწყალმა მასწავლებელმა, რომ ეს სამი უბრალო სიტყვა აეხსნა მოსწავლეებისათვის, რომელთაც ამ მეთოდით სამი თვე უსწავლიათ რუსული ენა!—გამოვიდა მასწავლებელი, მიიდგა თითი გულზე, დაიწყო კლასში სიარული და თან ძახილი: „Вотъ я хожу скоро, вотъ я хожу скоро...“ ბავშვები ისევ გაკვირვებულნი იყურებოდნენ: ეს რა ამბავია, მასწავლებელი რას დარბის კლასშიო! შემდეგ ნელა დაიწყო სიარული და თან დაბალის ხმით: „Вотъ я хожу медленно...“ გაეტარა ბავშვიც ნელა და უთხრა: „Ты ходишь медленно“. მესამე პირის მოქმედებაც ასე აუხსნა.

ბოლოს მასწავლებელმა მოისურვა გაეგო, მიხვდნენ თუ არა მოსწავლეები, რა არის: «Ты ходишь скоро» და უბრძანა ერთს მოსწავლეს: „Ходи скоро!“ მოსწავლემ გაიარა ისე, როგორც ჩვეულებრივ დადიოდა. მასწავლებელმა კიდეც გაუმეორა: „ходи скоро“-ო, მაგრამ ყმაწვილი ისევ დინჯად დიიარებოდა, თითქო ეუბნებოდა მასწავლებელს: „რა გინდა ჩემგან, რას მაწვალებ, მე ჩემთვის კარგად დავიარებიო!“ მასწავლებელმა რომ ვეღარაფერი გააწყო, ხელით ანიშნა ბავშვს, ფეხი აეჩქარებინა და მაშინ-კი მიხვდა, რომ თურმე აჩქარება ყოფილა საჭიროო, და დაიწყო ჩქარი სიარული.

რომ ყმაწვილები სრულის შეგნებით ვერ მიხვდნენ ყველა ზემოხსენებულის სიტყვების მნიშვნელობას, ეს, სხვათა შორის, იქიდგანა სჩანდა, რომ გაკვეთილის ბოლოს ყმაწვილებს ხშირად ეშლებოდათ პირები და ამობმდნენ ამ გვარ ფრაზებს: „Я ходишь, ты хожу“ და სხ.

საქალაქო სასწავლებლის პირველ განყოფილებაშიც ის გამეორდა, რაც კათოლიკეთა სასწავლებელში იყო: აქაც მასწავლებელი სცდილობდა დაესწავლებინა შემდეგი სიტყვები: „Я наливаю воду изъ графина въ стаканъ, изъ стакана въ графинъ“. მასწავლებელმა ხან თითონ ასხა წყალი ჭიქაში და იძახა: „Я наливаю воду изъ графина въ стаканъ ..“ ხან მოსწავლეს ასხმევინა და იძახა: Ты наливаешь воду изъ графина въ стаканъ“, ხან მესამეს ასხმევინა და იძახა: „Онъ наливаетъ...“, მაგრამ ჩვენთვის, მაყურებლებისათვის, გამოცანად დარჩა ის გარემოება: გაიგეს თუ არა ბავშვებმა რა არის: „Я наливаю, ты наливаешь“ და სხ., რადგან შეცდომა მაინც მოსდიოდათ, და, როცა მასწავლებელი ეუბნებოდათ რუსულად: ჭიქიდგან წყალი გრაფინაში ჩაასხიო, ისინი გრაფინიდგან ჭიქაში ასხამდნენ.

მესამე გაკვეთილი რუსულის ენისა ბუნებითის მეთოდით მისცა ბ-მა მ.-მა ქალების უფასო სასწავლებლის პირველ განყოფილებაში.

აქაც პატარა მოსწავლე ქალებმა დიდის ვაივაგლახით შეითვისეს ეს სიტყვები: „Вдѣваюнитку въ иголку, вынимаю нитку изъ иголки“ ისევე როგორც კათოლიკეებისა და საქალაქო სასწავლებლებში.

ნეტავი ვიცოდეთ, რა საჭირო იყო ამოდენა შრომის და დროს დაკარგვა ამ მცირედის საქმის გასაკეთებლად, როცა ივივე საქმე უფრო ნაყოფიერად და შეგნებულად შეიძლებოდა გაკეთებულიყო სამშობლო ენის დახმარებით ათის წამის განმავლობაში. სამის თვის მეცადინეობის შემდეგ მოსწავლემ ამ მეთოდით ერთის საათის განმავლობაში სამი რუსული სიტყვა შეისწავლა და ისიც ბუნდად და კაკაკაუნად!

განა ეს გარემოება ცხადად არ გვიჩვენებს ამ მეთოდის სისუსტეს, გაუგებრობასა და უვარგისობას?

თუ კი ისეთ კონკრეტულ საგნების შესწავლა, როგორიც, არის: бутылка, вода, нитка, иголка და მოქმედებათა: хожу, наливаю, вдѣваю, вынимаю და მთის მსგავსის ახსნა და შესწავლა ასე გაუჭირდათ, ამდენი დრო და შრომა დასჭირდათ როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეებს, რაღა უნდა ვსთქვათ მაშინ, როცა მოსწავლეები უნდა გაეცნონ განყენებული საგნებს, მათ მოქმედებას და თვისებას და სხ. როგორ უნდა გაგებინოს მასწავლებელმა შვიდი-რვა წლის ყმაწვილებს სამშობლო ენის დაუხმარებლად, მაგალითად, ასეთი ფრაზები: „Богъ создалъ небо и землю, Богъ вдунулъ въ человѣка душу безсмертную, Богъ поселилъ Адама и Еву въ раю, Господь [illegible] имъ послать въ утѣшен[illegible]сителя міра?“ ამ სიტყვებ[illegible] ხომ პირველ წელიწადსვე დასჭირდება მასწავლებელს.

ავილოთ უფრო ადვილი სიტყვები: „Лиса хитрый дикій звѣрь; овца глупое, но полезное животное; человѣкъ уменъ; растеніе растетъ და სხვა მრავალი ამ გვარი ფრაზა. რა ნაირი არევ-დარევა იქნება ყმაწვილის გონებაში ამ მცნებათა შესწავლის დროს, ამისი გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდვია.

ქუთათური

Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Января 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.